საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოებრიობა, რომელიც საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს, ქართველმა ერმა მე-19 საუკუნეში დაკარგა რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიისა და სახელმწიფოებრიობის გაუქმების შედეგად. ქართველი ხალხი არასოდეს შეჰგუებია თავისუფლების დაკარგვას. 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებით აღდგა საქართველოს გაუქმებული სახელმწიფოებრიობა. შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მრავალპარტიულობის საფუძველზე არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლობითი ორგანოებითა და კონსტიტუციით.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა უხეშად დაარღვია საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება და შეიარაღებული აგრესიის გზით მოახდინა თავის მიერვე ცნობილი საქართველოს სახელმწიფოს ოკუპაცია, რასაც შემდგომში მოჰყვა მისი ფაქტობრივი ანექსია.

საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ნებაყოფლობით არ შესულა, ხოლო მისი სახელმწიფოებრიობა დღესაც არსებობს, დამოუკიდებლობის აქტი და კონსტიტუცია დღესაც იურიდიული ძალის მქონეა, ვინაიდან დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია და განაგრძობდა მოღვაწეობას ემიგრაციაში.

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველოს იძულებითი ყოფნის მთელი პერიოდი აღინიშნა სისხლიანი ტერორითა და რეპრესიებით, რისი უკანასკნელი გამოვლინებაც იყო 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედია. ფარული ომი საქართველოს წინააღმდეგ დღესაც გრძელდება. მისი მიზანია დააბრკოლოს საქართველოს სწრაფვა თავისუფლებისა და დემოკრატიისაკენ.

1990 წლის 28 ოქტომბერს მრავალპარტიული, დემოკრატიული გზით არჩეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, ეყრდნობა რა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით გამოხატულ საქართველოს მოსახლეობის ერთსულოვან ნებას, აღდგენს

და საქვეყნოდ აცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას საქართველოს დამოუკიდებლობის 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე.

საქართველოს სუვერენული რესპუბლიკის ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია. მის ტერიტორიაზე უზენაესია მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია და ხელისუფლება. ყოველი მოქმედება, მიმართული საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების უზენაესობის შეზღუდვის ან ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისაკენ, ჩაითვლება სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში ჩარევად და აგრესიად, საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეშ დარღვევად.

საერთაშორისო სამართლის პრიმატი საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და მისი ნორმების პირდაპირი მოქმედება საქართველოს ტერიტორიაზე ცხადდება საქართველოს რესპუბლიკის ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად.

საქართველოს რესპუბლიკა, ისწრაფვის რა დაიკავოს დირსეული ადგილი მსოფლიოს სახელმწიფოთა თანამეგობრობაში, აღიარებს და თანაბრად უზრუნველყოფს საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ ადამიანის, ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი ჯგუფების ყველა ძირითად უფლებასა და თავისუფლებას, როგორც ამას მოითხოვს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტები და კონვენციები.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ მტკიცედ დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული თანამშრომლობის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა სრულად შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას, პელსინკის დასკვნის აქტებს, რომლებიც აღიარებენ და განამტკიცებენ ყველა ხალხის უფლებას დამოუკიდებლად განაგოს თავისი ქვეყნის პოლიტიკური ბედი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმედოვნებს, რომ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობა არ დარჩება გულგრილი ქართველი ხალხის ლეგიტიმური და სამართლიანი ნებისადმი და აღიარებს საქართველოს აღორძინებულ სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, რაც საქართველოს უშიშროების ერთ-ერთი ყველაზე მტკიცე გარანტია იქნება.

თბილისი მთავრობის სასახლე,
1991 წლის 9 აპრილი, 12 საათი და 30 წუთი.

საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეხური

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№45 (6421) 13 აპრილი შაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა

9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა. მის დაწყებამდე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს შვილების ხსოვნას, რომლებიც ემსხვერპლნენ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა მისი დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ამ საკითხის გამო მოხსენება გაკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. რომლის განხილვისათვის გაიმართა კამათი.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი ჰეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი და თავისი ნება დაადასტურა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით. დარბაზში საზეიმოდ აგუგუნდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება“.

სესიაზე მიიღეს მიმართვები მსოფლიოს ხალხებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

საქართველოს რესპუბლიკის

კანონი

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის მიღებამდე საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს „საქართველოს რესპუბლიკაში გარდამავალი პერიოდის გამოცხადების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1990 წლის 14 ნოემბრის კანონი.
2. დაევალოს საკონსტიტუციო კომისიას დააჩქაროს საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე.
3. საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობა შესაბამისობაში იქნეს მოყვანილი 1991 წლის 9 აპრილს დამტკიცებულ „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტთან“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 აპრილი.

საქართველოს რესპუბლიკის

უზენაესი საბჭოს

დადგენილება

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო წყობილების სრულყოფის, ქვეყნის სუვერენიტეტის, მოქალაქეთა უფლებების, თავისუფლებებისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო **ადგენს:**

1. მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღება.
2. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის კომისიამ შეიმუშაოს და წარმოადგინოს წინადადებანი შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე
ზ. გამსახურდია.

თბილისი. 1991 წლის 9 აპრილი.

ცაგერის რაიონის საკრებულოებში არჩეული დეპუტატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა შეაჯამეს არჩევნების შედეგები. 80 საარჩევნო ოლქიდან 79 საარჩევნო ოლქში არჩევნები ჩაითვალა საარჩევნო კანონის სრული შესაბამისობით ჩატარებულად.

ადგილობრივმა საარჩევნო კომისიებმა ცალკეული საკრებულოების მიხედვით დეპუტატებად არჩეულად ცნო:

ტვიშის სოფლის საკრებულოში

დავით ასათიანი—დაბადებული 1924 წელს, პედაგოგი, ტვიშის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვენედი ასათიანი—დაბადებული 1927 წელს, პედაგოგი, ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი, მცხოვრები ქუთაისში, უპარტიო, „დამოუკიდებელი.“

ნონა ასათიანი—დაბადებული 1944 წელს, ტვიშის სასოფლო საბჭოს მდივანი, მცხოვრები ორხვში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვალოდია ახვლედიანი—დაბადებული 1929 წელს, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ორხვში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

დიმიტრი ბანძელაძე—დაბადებული 1941 წელს, ტვიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ორხვში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თამილა გაბიძაშვილი—დაბადებული 1963 წელს, ტვიშის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

შოთა გოდოლაძე—დაბადებული 1959 წელს, აგრონომი, ტვიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მცხოვრები ქორენიში, უპარტიო, „დამოუკიდებელი“.

მურად კენჭაძე—დაბადებული 1945 წელს, პედაგოგი, ტვიშის საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ორხვში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გია მიქაუტაძე—დაბადებული 1959 წელს, პედაგოგი, ტვიშის საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე საალმზრდელო დარგში, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვალერი მუშკუდიანი—დაბადებული 1963 წელს, პედაგოგი, ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ანზორ ნემსწვერიძე—დაბადებული 1948 წელს, ტვიშის სამეურნეო ძალაზის გამგე, მცხოვრები ტვიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლაზარე ნემსწვერიძე—დაბადებული 1936 წელს, ექიმი, ლაილაშის საექიმო უბნის გამგე, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლეილა ნემსწვერიძე—დაბადებული 1939 წელს, ექიმი, ტვიშის საექიმო უბნის გამგე, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

როზეტა ქვარიანი—დაბადებული 1932 წელს, პედაგოგი, ტვიშის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე, მცხოვრები ორხვში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გებენ ჩაკვეტაძე—დაბადებული 1948 წელს, ტვიშის კოლმეურნეობის ტრაქტორისტი, მცხოვრები ლახეფაში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ზაზა ჩაკვეტაძე—დაბადებული 1963 წელს, პედაგოგი, ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ტვიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ალპანის სოფლის საკრებულოში

უინვერ ალავიძე—დაბადებული 1930 წელს, ბუღალტერი, პენსიონერი, მცხოვრები საირმეში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯემალ ალავიძე—დაბადებული 1940 წელს, ზოოტექნიკოსი, ცაგერის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი, მცხოვრები საირმეში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გოგი ანთიძე—დაბადებული 1958 წელს, ინჟინერი, ტურბაზა „ლეჩხუმის“ ფილიალის გამგე, მცხოვრები ალპანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მაიზერ ახვლედიანი—დაბადებული 1962 წელს, ინჟინერი, ცაგერის ადგილმრეწველობის კომბინატის ოსტატი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ელდარ ახვლედიანი—დაბადებული 1938 წელს, იურისტი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსი ასისტენტი, უპარტიო, „დამოუკიდებელი“.

თენგიზ ბურჯალიანი—დაბადებული 1946 წელს, ზოოტექნიკოსი, დროებით უმუშევარი, მცხოვრები ალპანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯონი გოლეთიანი—დაბადებული 1952 წელს, ექიმი, ალპანის საუბნო საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მცხოვრები ღვირიშში, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის წევრი, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

შოთა გოქაძე—დაბადებული 1929 წელს, პედაგოგი, ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ზოგიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ელგუჯა კაბოსნიძე—დაბადებული 1953 წელს, ექიმი, თბილისის ფსიქონევროლოგიური საავადმყოფოს ექიმი, მცხოვრები თბილისში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გია სანიკიძე—დაბადებული 1963 წელს, ექიმი, ცაგერის რაიონული საავადმყოფოს ექიმი, მცხოვრები საირმეში, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის წევრი, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ავთო ფრუიძე—დაბადებული 1954 წელს, ინჟინერი, დროებით უმუშევარი, მცხოვრები სოფელ აჭარაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბადრი ფრუიძე—დაბადებული 1958 წელს, ინჟინერი, ქუთაისის სამკერვალო გაერთიანების ალპანის უბნის უფროსი, მცხოვრები ალპანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

კობა ფრუიძე—დაბადებული 1950 წელს, ინჟინერი, მცხოვრები ალპანაში, უპარტიო, „დამოუკიდებელი“.

რამინ ჭოხონელიძე—დაბადებული 1954 წელს, ინჟინერი, წყალტუბოს საგზაო სამმართველოს უბნის უფროსი, მცხოვრები ზოგიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გია ხვადაგიანი—დაბადებული 1959 წელს, ინჟინერი, ალპანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, მცხოვრები ზოგიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯიმშერ ხვადაგიანი—დაბადებული 1934 წელს, ალპანის კოლმეურნეობის ზოგიშის აგროუბნის ხელმძღვანელი, მცხოვრები ზოგიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ავდიდო ხუციძე—დაბადებული 1948 წელს, ალპანის კოლმეურნეობის მძღოლი, მცხოვრები საირმეში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჰამლეტ ხუციძე—დაბადებული 1938 წელს, აგრონომი, ალპანის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მცხოვრები საირმეში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნუკრი ჯანაძე—დაბადებული 1958 წელს, სტუდენტი, ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების სურსათის საქონელმცოდნე, მცხოვრები სოფელ აჭარაში, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის წევრი, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ღაილაშის სოფლის საკრებულოში

ნოდარ ანასაშვილი—დაბადებული 1945 წელს, ტექნოლოგი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, სდკპ წევრი, მცხოვრები ლაილაშში, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნელი ბურჯალიანი—დაბადებული 1947 წელს, ბუღალტერი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, მცხოვრები ლაილაშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოსო გოლოძე—დაბადებული 1951 წელს, ცაგერის საკოლმეურნეობათშორისო საწარმოს საქმის მწარმოებელი, მცხოვრები ლაილაშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჩიტო გოქაძე—დაბადებული 1973 წელს, ლაილაშის ბიბლიოთეკის დამლაგებელი, უპარტიო, მცხოვრები ლაილაშში, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გოგიტა გოქაძე—დაბადებული 1963 წელს, დროებით უმუშევარი, მცხოვრები ლაილაშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლევან კაჭკაჭაშვილი—დაბადებული 1956 წელს, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ლაილაშში, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

შოთა მოწონელიძე—დაბადებული 1939 წელს, ბუღალტერი, ლაილაშის კოლმეურნეობის ბუღალტერი, მცხოვრები ლაილაშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლია სილაგაძე—დაბადებული 1941 წელს, სურმუშის კლუბის გამგე, მცხოვრები სურმუშში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

გენურ ქარსელაძე—დაბადებული 1951 წელს, ეკონომისტი, ცაგერის რაიკოოპერატივის გაჭრობის განყოფილების გემგე, მცხოვრები ცაგერში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვალერი ქარსელაძე—დაბადებული 1955 წელს, ეკონომისტი, ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ლაილაშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

დათო ჩაჩხიანი—დაბადებული 1963 წელს, ინჟინერი, ლაჯანურჰესის დირექტორი, მცხოვრები ლაილაშში, ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის წევრი, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლეილა ჩაჩხიანი—დაბადებული 1937 წელს, კავშირგაბმულობის განყოფილების უფროსი, მცხოვრები ლაილაშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნელი ჩორგოლიანი—დაბადებული 1936 წელს, ბუღალტერი, ლაილაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის მდივანი, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლევან ხეცურიანი—დაბადებული 1969 წელს, პედაგოგი, ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ლაილაშში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ალექსანდრე თვარაძე—დაბადებული 1963 წელს, აგრონომი, ლაილაშის კოლმეურნეობის აგრონომი, მცხოვრები ლაილაშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

უინვერ ხუბუკელაშვილი—დაბადებული 1937 წელს, მედდა, სურმუშის საექიმო ამბულატორიის მედდა, მცხოვრები სურმუშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ცაგერის რაიონის საკრებულოებში არჩეული დეპუტატები

ორბელის სოფლის საკრებულოში

ჯიუ ბურჯალიანი—დაბადებული 1935 წელს, პედაგოგი, ორბელის საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ორბელში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯონდო ბურჯალიანი—დაბადებული 1961 წელს, ინჟინერი, ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გია ბურჯალიანი—დაბადებული 1960 წელს, ინჟინერი, ახალგაზრდული კავშირის ცაგერის რაიონული ორგანიზაციის განყოფილების გამგე, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

რეზო ბურჯალიანი—დაბადებული 1950 წელს, აგრონომი, სდკპ ცაგერის რაიკომის ინსტრუქტორი, მცხოვრები ორბელში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

სოზარ ბურჯალიანი—დაბადებული 1952 წელს, ინჟინერი, ლაჯანურჰესის ტექნიკოსი, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვაჟა გვიშიანი—დაბადებული 1955 წელს, ბუღალტერი, ორბელის კოლმეურნეობის საწყობის გამგე, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, „დამოუკიდებელი“.

ბეკო გურგუჩიანი—დაბადებული 1959 წელს, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გურამ გზობაია—დაბადებული 1934 წელს, აგრონომი, ორბელის კოლმეურნეობის აგრონომი, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ოთარ ლაკვეხელიანი—დაბადებული 1936 წელს, აგრონომი, ლაჯანის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მცხოვრები ლაჯანაში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან

რამაზ მახარობლიძე—დაბადებული 1952 წელს, აგრონომი, ლაჯანის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, მცხოვრები ლაჯანაში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მირზა მახარობლიძე—დაბადებული 1968 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ლეშკედაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნორა მახარობლიძე—დაბადებული 1954 წელს, ეკონომისტი, ლაჯანის კოლმეურნეობის ეკონომისტი, მცხოვრები ლაჯანაში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

იური ნემსწვერიძე—დაბადებული 1958 წელს, აგრონომი, ორბელის კოლმეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივანი, მცხოვრები სპათაგორში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნანული ნემსწვერიძე—დაბადებული 1941 წელს, წილამიერის კლუბის გამგე, მცხოვრები წილამიერში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ომარ სილაგაძე—დაბადებული 1952 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის მექანიზატორი, მცხოვრები ლაცორიაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

რამაზ სილაგაძე—დაბადებული 1961 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის დამამზადებელი, მცხოვრები ლეშკედაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მამუკა სილაგაძე—დაბადებული 1961 წელს, იურისტი, ცაგერის სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსტრუქტორი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „დამოუკიდებელი“.

იულო ურთმელიძე—დაბადებული 1952 წელს, ბუღალტერი, ლაჯანის სკოლა-ინტერნატის საწყობის გამგე, მცხოვრები ლაჯანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯუმბერ ფრუიძე—დაბადებული 1931 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის საწყობის გამგე, მცხოვრები ლაჯანაში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თემურ ქლიბაძე—დაბადებული 1961 წელს, ინჟინერი, ცაგერის საგზაო სამმართველოს ინჟინერი, მცხოვრები წილამიერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბადრი ჭოხონელიძე—დაბადებული 1960 წელს, ინჟინერი, აგროსამრეწველო გაერთიანების ინჟინერი, მცხოვრები ლაჯანაში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვაჟა ჭაბუკიანი—დაბადებული 1931 წელს, იურისტი, ორბელის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მცხოვრები ორბელში, სდკპ წევრი, „დამოუკიდებელი“.

უსახელოს სოფლის საკრებულოში

მურად ასათიანი—დაბადებული 1950 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

რეზო გოლეთიანი—დაბადებული 1954 წელს, აგრონომი, ლაჯანის კოლმეურნეობის აგრონომი, მცხოვრები ხოჯში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

რამაზ გოლეთიანი—დაბადებული 1955 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ხოჯში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ვერა გუგავა—დაბადებული 1921 წელს, უსახელოს სასოფლო საბჭოს მდივანი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ავთანდილ თვარაძე—დაბადებული 1959 წელს, ზოოინჟინერი, უსახელოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

დარეჯან თვარაძე—დაბადებული 1969 წელს, მედდა. უსახელოს საექიმო უბნის ექთანი. მცხოვრები უსახელოში. უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

რომან თვარაძე—დაბადებული 1940 წელს, ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

კარლო თოთაძე—დაბადებული 1948 წელს, ეკონომისტი, ალპანის დარგობრივი საავჭრო გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე, მცხოვრები უსახელოში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

მურმან თოთაძე—დაბადებული 1954 წელს, ექიმი, ცაგერის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გიზო მუკბანიანი—დაბადებული 1959 წელს, ინჟინერი, ლაჯანურჰესის ინჟინერი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მავრა სილაგაძე—დაბადებული 1944 წელს, პედაგოგი, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ორბელში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გიორგი ყურაშვილი—დაბადებული 1964 წელს, სტუდენტი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მაია შეკიშვილი—დაბადებული 1966 წელს, პედაგოგი, უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

თამაზ შეკიშვილი—დაბადებული 1958 წელს, მექანიზატორი, დროებით უმუშევარი, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

კუკური ხეცურიანი—დაბადებული 1947 წელს, პედაგოგი, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, მცხოვრები უსახელოში, უპარტიო, დამოუკიდებელი.

ღვირიშის სოფლის საკრებულოში

მერაბ ახვლედიანი—დაბადებული 1965 წელს, ინჟინერი, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები სანორჩში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

მანონ ახვლედიანი—დაბადებული 1970 წელს, პედაგოგი, უცხერის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები უცხერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ტრისტან გუგავა—დაბადებული 1951 წელს, პედაგოგი, ღვირიშის საშუალო სკოლის დირექტორი, მცხოვრები ღვირიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ნაზი გოგებაშვილი—დაბადებული 1943 წელს, ტექნოლოგი, ღვირიშის სასოფლო საბჭოს მდივანი, მცხოვრები ღვირიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

იზა გოორგობიანი—დაბადებული 1962 წელს, პედაგოგი, ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ღვირიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

გია ნემსწვერიძე—დაბადებული 1961 წელს, ცაგერის სათაო პარკსაშრობის ლაბორანტი, მცხოვრები უცხერში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ჯონი ნემსწვერიძე—დაბადებული 1946 წელს, პედაგოგი, ღვირიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები უცხერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

თათარო ნემსწვერიძე—დაბადებული 1939 წელს უცხერის სასოფლო კლუბის გამგე, მცხოვრები უცხერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლია ნიკოლაიშვილი—დაბადებული 1943 წელს, ეკონომისტი, ღვირიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მცხოვრები ღვირიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ივანე სვანიძე—დაბადებული 1931 წელს, პედაგოგი, ღვირიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, მცხოვრები ცხუკეშერში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ანზორ ტვილდიანი—დაბადებული 1937 წელს, აგრონომი, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები უცხერში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

ლალი ფრუიძე—დაბადებული 1969 წელს, პედაგოგი, ნასპერის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, მცხოვრები ნასპერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ალექსანდრე ფუტკარაძე—დაბადებული 1964 წელს, ცაგერის კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის ელექტროტექნიკოსი, მცხოვრები ცაგერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

იური ხეურიანი—დაბადებული 1959 წელს, ინჟინერი, ტვიშის სატყეო უბნის უფროსი, მცხოვრები ღვირიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

ბორის ხვადაგიანი—დაბადებული 1953 წელს, ღვირიშის უბნის მონტიორი, მცხოვრები ნასპერში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

აკაკი ხეცურიანი—დაბადებული 1928 წელს, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ღვირიშში, სდკპ წევრი, სდკპ ცაგერის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თენგიზ ხეცურიანი—დაბადებული 1949 წელს, ღვირიშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, მცხოვრები ღვირიშში, უპარტიო, „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს“ რაიონული ორგანიზაციისაგან.

დასასრული მორიგ ნომერში.

ბილოცავთ

ელისო ნემსაძეს
გულვერ გახსოლიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გზაფხულივით ლაღი და ლამაზი ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების გზა, ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ელისო, ამირან გურგუჩიანები.

მზია ონიანს
ამირან მიქაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. მრავალ შვილს ეხმიანებინოს თქვენი ეზო-კარი.

ელისო, ამირან გურგუჩიანები.

მეგი ტუხას ასულ სვანიძეს
გოგიტა რომანის ძე ახვლედიანს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს.

თამარ, ლილი, ნორა ახვლედიანები.

მაია ახვლედიანს
კონსტანტინე კუჭავას

გილოცავთ ყველაზე ბედნიერ დღეს თქვენს ცხოვრებაში—ქორწინებას. გზაფხულის მჯისცემა, ფერთა სიუხვე, სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი მუდმივი თანამგზავრი.

ნატო მახარობლიძე, ლამზირა დავითულიანი, ნინო ახვლედიანი, მარინე გიორგობიანი.

ბილოცავთ

ნანული, ჯიგილო, დადაში, ლოლა ღეშკაშელებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ჟორა, ლანგუშა, ციალა, ეროზარი, ნინო, ნუგზარი, ანა სილაგაძეები.

მაია, ბესიკ, ძაძუ, ვაჟა ჭაბუკიანებს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი. გფარავდეთ ღმერთი.

ვალიკო მურცხვალაძე, გოგი მუშკუდიანი ოჯახებით.

გულნაზი ვლადიმერის ასულ ყურაშვილს
რომან კოლიას ძე ახვლედიანს

გილოცავთ გოგიტას ბედნიერებას. ვუსურვებთ გამრავლებას და ულევ სიხარულს.

შურა, დალოსტი სვანიძეები, ნატო, კობა ხადურები.

ძაძუ, ვაჟა ჭაბუკიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი შეგძინოთ ღმერთმა.

ნინელი, ტუკა ჩხეტიანები, სოფო, სოსო მუშკუდიანები.

მზია ვაჟას ასულ ჩაჩხიანს
ვალერი დიმიტრის ძე მუშკუდიანს

გილოცავთ ქალიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო მამულიშვილი.

ლაილაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

ნიურა, კაკო ჭოხონელიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ლაჯანის საუბნო საავადმყოფოს თანამშრომლები.

ვენერა ჩაჩხიანს
კოტე ხვადაგიანს

გილოცავთ შვილიშვილისა და დისშვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

რაიპოლიკლინიკის თანამშრომლები.

მაია კარლოს ასულ ჩაკვეტაძეს

გილოცავთ დაბადების დღეს, გისურვებთ ბედნიერ მომავალს. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

ცაგერის საშუალო სკოლის X ა კლასის მოსწავლეები.

ნინო, ზაურ ტვილდიანებს
ლილი ტვილდიანს

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. ძეობა, მზეობა, მხნეობა არ მოგეშალოთ.

ნინო, ციცო, ანზორ ტვილდიანები.

კოსტა ეგნატეს ძე ღურჭუმალიძეს

გილოცავთ 65 წლის შესრულებას. გისურვებთ მხნეობას, სიხარულს, შვილებისა და შვილიშვილების ბედნიერებას, გამრავლებას.

მაგული, მარინე, სოზარი, მალხაზი.

გუდო, რომან ახვლედიანებს

გილოცავთ შვილის, გოგიტას ბედნიერებას. ბედნიერი ცხოვრების გზით ევლოთ, ერი ემრავლებინოთ. თქვენს ოჯახში მარადჟამს სუფევდეს სიყვარული, სიხარული, გამრავლება და ბედნიერება.

ლია, ზაურ ახვლედიანები ოჯახით.

კაკო, ნივრა ჭოხონელიძეებს
ბადრი, სოფო ჭოხონელიძეებს

გილოცავთ შვილიშვილისა და შვილის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო ქალი.

ჯაბო, რუსიკო ბაკურაძეები.

მადონა ვარლამის ასულ ხეცურიანს
თამაზ ნიკოს ძე ყურაშვილს

გილოცავთ მეორე ვაჟის შეძენას. გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი.

ზინა, თემურ, ავთო, მაია, გივი ყურაშვილები.

დარეჯან ახვლედიანს

გილოცავთ ჰამლეტის ბედნიერებას. მრავალ სიხარულს დაედოს ბინა თქვენს ფუძეძლიერ ოჯახში.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

გოგუცა ცინარიძეს
რუბენ მუშკუდიანს

გილოცავთ თამაზის ბედნიერებას. გამრავლება, სიკეთე, სიხარული ყოფილიყოს თქვენი ოჯახის მეგზური.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

თინიკო უგრეხელიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას. ღმერთი იყოს შენი მფარველი.

ჯონი, ნინო ქომეთიანები.

მანანა გრიშას ასულ მუშკუდიანს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს თქვენი ტკბილი ქმარშვილით.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების განყოფილების თანამშრომლები.

ლალი ჭელიძე, ზურიკო თევდორაძე, მამუკა თვარაძე, კახა ბაკურაძე, მალხაზ, კობა ფინთიხაშვილები, გია ჯინჭარაძე თანაუგრძნობენ მინდია ქარსელაძეს მამის

ნოდარ ბიკენტის ძე ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

პროფტექნიკური სასწავლებლის ტრაქტორისტ - მემანქანეობის მეორე კურსის მოსწავლეები, დამრიგებელი და საწარმოო სწავლების ოსტატები თანაუგრძნობენ მინდია ქარსელაძეს მამის

ნოდარ ქარსელაძის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ნათელა, შვილები ზურაბი, ნუნუ, ძმები დავითი, კაკო, მიშა, ... ომანაძეები, შვილიშვილები თამაზი, ნატო, ... ოლეგი, ... ოლეგი, ... ოლეგი